

# ვიაჟას



№6, 2014



## ძვირფასო მშობლებო, ამჯერად თქვენ მოგმართავთ!

2014 წლის იანვრის ნომერში ჩვენს პატარა მკითხველს ვახარეთ, რომ კულტურის სამინისტრომ საბავშვო უურნალ „დილა“ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიანიჭა და ამით საუკუნეს გადაცილებული საბავშვო უურნალი გადარჩა;

მაგრამ, სამწუხაროდ, სიხარული ნაადრევი გამოდგა. კულტურის სამინისტრომ დაპირებულ დაფინანსებაზე უარი გვითხრა. უურნალი კვლავ სასოწარკვეთისა და იმედის გასაყართან დგას. ხვალინდელი დღე არცთუ ისე იმედიანია.

ძვირფასო მშობლებო, ვიდრე თქვენ მოგმართავდით და შეგანუხებდით, მანამდე პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტს მივმართეთ შეკითხვით, ჰქონდა თუ არა მნიშვნელობა იმას, როგორ შეწყვეტდა არსებობას საუკუნეს გადაცილებული უურნალი – ძეგლის სტატუსით თუ ამ წოდების გარეშე. კომიტეტის თავმჯდომარემ, ბატონმა ივანე კილურაძემ, ჩვენი სატკივარი გულთან მიიტანა და კულტურის სამინისტროს წერილით მიმართა: „დღეს „დილა“ ერთადერთი საყმანვილო ლიტერატურული უურნალია და შთამომავლობა არ გვაპატიებს, თუ ჩვენს მოზარდ თაობას წავართმევთ ასეთ მნიშვნელოვან სულიერ საზრდოს“. ბატონ ივანე კილურაძეს სამინისტროდან ძალიან ლაკონიურად უპასუხეს: „სამწუხაროდ, ვერ შევძლებთ თქვენი თხოვნის დაკმაყოფილებას. მინისტრის მოადგილე მანანა ბერიკაშვილი“.

ძვირფასო მშობლებო, მიუხედავად ასეთი უარისა, „დილის“ თანამშრომლებს ფარ-ხმალი მაინც არ დაგვიყრია და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ჩვენი გასაჭირო პრემიერ-მინისტრს მივაწვდინეთ!

თქვენ წარმოიდგინეთ, პასუხიც დაგვიბრუნდა მთავრობის კანცელარიიდან, ოლონდ არა ჩვენს სატკივარზე: მათ დაგვიდასტურეს წერილის მიღების ფაქტი. იქვე გვატყობინებდნენ, ნამდვილ პასუხს კულტურის სამინისტრო გაგცემთო?!

უფალო, დაიფარე საქართველო!..

ძვირფასო მეგობრებო, მშობლებო, კულტურის სამინისტრომ ხომ უკვე ორჯერ გაგვცა პასუხი, თანაც ორჯერვე უარყოფითი. ეტყობა, ახალ მთავრობას „ახალი წესი“ აქვს, უარყოფითი პასუხი თუ სამჯერ არ მიიღე, ისე ორი უარი ნამდვილ პასუხად არ ჩაითვლება!

ახლა კი თქვენ მოგმართავთ, კეთილო, ბრძენო ქართველო ხალხო, დაგვეხმარეთ, ყველამ ერთად გადავარჩინოთ საუკუნეს გადაცილებული საბავშვო უურნალი „დილა“ და ერთად აღვნიშნოთ უურნალის საიუბილეო თარიღი – 110 წელი.

გამოუწერეთ თქვეს შვილებს, შვილიშვილებს, ახლობლებს უურნალი „დილა“. თითოეული ხელმოწერა სიცოცხლეს გაუხანგრძლივებს უურნალს!

განსაკუთრებით კი საჯარო სკოლის მესვეურთ გვინდა მივმართოთ: გამოუწერეთ უურნალი თქვენი დაწყებითი კლასის მოსწავლეებს სკოლის ბიბლიოთეკის საშუალებით (თუნდაც 3-4 ცალი)!

ჩვენ კი, „დილის“ თანამშრომლები, გპირდებით: უურნალი, როგორც ყოველთვის, მისი პატარა მკითხველის ერთგული და დაუზარელი მეგზური იქნება იმ ჯადოსნურ სამყაროში, რომელსაც სიყვარულის, სიკეთისა და პატიოსნების საუფლო ჰქვია!

უურნალი გამოდის თვეში ერთხელ: საცალო გასაყიდი ფასია 2 ლარი.

ერთი წლით გამოწერის ფასი შეადგენს 24 ლარს, ექვსი თვით – 12 ლარს.

უურნალის გამოწერა უკვე შესაძლებელია: ამისთვის საჭიროა დარეკორდის მისამართი, რომელსაც სიყვარულის, სიკეთისა და პატიოსნების საუფლო ჰქვია!

**elva.ge** ტელ: 2 38 26 73;

2 38 26 74;

**საქ. პრესა+** ტელ: 2 51 85 18.

უურნალ „დილის“ საბანკო რეკვიზიტია:

ააიპ საბავშვო მწერლობის განვითარების ასოციაცია  
თიბისი ბანკი

ბანკის კოდი: BAGAGE22

ა/ა: GE69BG00000000177796300



კულტურის  
მინისტრი

# დებუ და ბიბი



ერთ უდაბურ და უსიერ მუხნარში ძალიან ლამაზი, ჭრელფრთება და წითელგულა ორი ჩიტი ცხოვრობდა. მათზე კარგი მგალობელი ფრინველი იმ არემარეში არ მოიძებნებოდა. ხის ტოტზე ჩამომსხდრები, დილაუთენია საამურ და ტკბილ ჭიკჭიქს იწყებდნენ, რაც ტყეში ყველა სულიერს სიამოვნებას ჰგვრიდა და ესალბუნებოდა. ერთს, რომელსაც თავზე ბუმბული ქოჩორივით ჩამოშლოდა, ღაბუა ერქვა, მეორეს ჩიორას ეძახდნენ. როცა ღაბუა გალობით დაიღლებოდა, ჩიორა აგრძელებდა და ასე, საღამომდე შეხმატკბილებულად ჭიკჭიკებდნენ.

ზაფხული იდგა. მზე ღონიერი და დამშანთავი სხივებით მუხნარს დააცხრა, მდინარეები დააშრო. მათ კალაპოტში მინა დაიბზარა და დასკდა, შემდეგ მოჩუქუხე, ცივი წყაროებიც გაქრნენ. გახმა, გადაიხრუკა ყველაფერი. მზის ძალამ მცენარეებიც გადაბუგა და ტყე სიკვდილის პირას მიიყვანა. ირგვლივ შიმშილმა დაისადგურა.

ღაბუა და ჩიორა გაფიტულ ტოტზე ჩამომსხდარიყვნენ. ტყის ხილის ჩირიც კი აღარსად ეგულებოდათ, ისე ჩამოხმნენ და დაჩიავდნენ, რომ ვეღარც გალობდნენ და ვეღარც დაფრინავდნენ.

- ჩიორა, მშია, მწყურია.
- მეც, ღაბუა, საშინლად მშია. ეს რა საშინელებაა!
- ნეტა, წვიმა მაინც მოვიდეს, წყალსაც დავლევდით და გუბურებშიც ვიჭყუმპალავებდით.
- ეჳ, წვიმა კარგი იქნებოდა!
- ჩიტებმა ტყეში კაცი შენიშნეს, რომელიც ხის ძირში ჩაცუცქულიყო და ჩიტბადეს აწყობდა.
- შეხედე, შიგნით პურის ნამცეცებს ყრის, - ნერწყვი გადაყლაპა ღაბუამ, - როგორ მშია
- ძალა მოვიკრიბოთ და სხვა ხეზე გადავფრინდეთ. ნუ უყურებ!
- ცოტას ავკენკავ, თავს ვეღარ ვიკავებ...
- მახეში გინდა გაება?!
- ასე ცხოვრება აღარ შემიძლია, მირჩევნია, გალიაში ვიჯდე და მაძლარი ვიყო, - თქვა თუ არა ღაბუამ, ჩიტბადისკენ გაქარქარდა, დაფშვნილ პურთან დაფრინდა და ნამცეცებს ხარბად დაუწყო კენკვა.

კაცმა ზონარი მოქაჩა და ღაბუა ბადეში მოამწყვდია. ჩიტი საცოდავად აფართხალდა;





საშველად ჩიორას მოუხმო, მაგრამ ჩიტბადესთან კაცმა მიირბინა და ღაბუა ხელისგულში მოიქცია.

— რა ღამაზი ჩიტი დამიჭერია, — გახარებულმა წა-  
მოიძახა, — ჩემს გოგო-ბიჭებს როგორ გაუხარდებათ, —  
ღაბუა პატარა გალიაში შეუშვა, ჩიტბადე აკეცა, მხარზე  
გადაიკიდა და სახლის გზას გაუყვა.

ჩიორას ძალა მიეცა, ხიდან ხეზე ხტებოდა და დატყ-  
ვევებულ მეგობარს კვალდაკვალ მიჰყვებოდა. სახლამ-  
დე მიაცილა და მონყენილი ეზოში ხის ტოტზე ჩამოჯდა.  
სახლიდან ბავშვების ჟივილ-ხივილი შემოესმა — ისინი,  
აღტაცებულები, ღაბუას სილამაზით ტკბებოდნენ. ახ-  
ლოს მიფრინდა; ფანჯრის გისოსზე ჩამოჯდა და ოთახში  
შეიხედა. მისი მეგობარი დიდ, ლამაზ გალიაში ჩაესვათ,  
უამრავი პურის ნამცეცი დაეყარათ და შუშის ჭურჭლით  
წყალიც დაედგათ.

ღაბუა გალიის ძირში ჩამჯდარიყო, ნახორხალს ხარ-  
ბად შეექცეოდა, შემდეგ წყალთან მიფრინდა, დალია და  
ისევ პურის ნაფხვენთან დაბრუნდა. როდესაც შიმშილის

გრძნობა დაიოკა, ქანდარაზე ახტა და ჩვეული გალობა დაიწყო. საამურმა ჰანგებმა ოჯახის  
ყველა წევრი დაატყვევა, გალიას ირგვლივ შემოუსხდნენ და ღაბუას მორაკრაკე ხმას მოჯა-  
დოებულივით მიაყურადეს.

ასე გრძელდებოდა ყოველდღე. ჩიორა მეგობრის შორიახლოს, ეზოში, ხეზე დაბინავ-  
და. დამშეული ახლა მარტოობასაც დაედარდიანებინა. ღაბუას კი საჭმელ-სასმელი თავ-  
ზე საყრელი ჰქონდა, როდესაც წყურვილის ან შიმშილის გრძნობას მოიკლავდა, ქანდარა-  
ზე შეხტებოდა, ყელს მოიღერებდა და გალობდა და გალობდა. უზრუნველი ცხოვრებისგან  
გასუქდა და ბურთივით დამრგვალდა, მაგრამ გალიის ორი ქანდარა მალე მობეზრდა. თა-  
ვის ტყეში განავარდება მოენატრა, თან ჩიორას გარეშე ყოფნა გულს უკლავდა. მოიწყი-  
ნა ღაბუამ. ძილში ჩიორასთან გატარებული დღეები ესიზმრებოდა და დილით საშინლად



მხატვარი  
ნათია გაგურიშვილი



სევდიანს ელვიძებოდა. გალობას თავი ანება, მთელი დღე ქანდარაზე გაუნძრევლად იჯდა. ბავშვები მიხვდნენ, რომ ჩიტი კარგად არ იყო და გალია აივანზე გადადგეს, იფიქრეს – ბუნებას შეხედავს და გაიხარებსო.

ჩიორამ მეგობარი შენიშნა, ახლოს მიფრინდა და გალიის გვერდით, აივნის მოაჯირზე ჩამოჯდა:


- ლაბუა, როგორა ხარ?
- ცუდად, ჩიორა, ცუდად?
- რატომ? – გაუკვირდა ჩიორას.

- რა უბედურება ყოფილა მარტოობა, უშენოდ ვეღარ ვძლებ. ჩვენი გახრიოკებული და გადაბუგული ტყეც ისე მომენატრა, რომ სულ მესიზმრება. ლამის გავგიჟდე...

- რა ვქნა, როგორ გიშველო? – გალიის კართან მიფრინდა ჩიორა, საკეტზე ჩამოჯდა, ფრთები ღონივრად დაიქნია, რათა ურდული გამოეწია და კარი გაელო.

ლაბუა გალიის შიგნიდან ნისკარტით ეხმარებოდა. ბევრი წვალების შემდეგ, სასწაული მოხდა, საკეტი გაიხსნა. ლაბუამ შეითვრთხიალა, კარი გამოაღო და გამოფრინდა. მონატრებული მეგობრები ერთმანეთს ნისკარტებით მიეფერნენ და ტყისკენ გაფრინდნენ. იქ მუხის ხეზე ჩამოსხდნენ და საამური გალობა დაიწყეს.

ამ დროს ნიავმა დაუბერა, ცაზე ღრუბლები მორეკა და შხაპუნა წვიმაც წამოვიდა, რაც იმის ნიშანი იყო, რომ ღმერთმა ტყე და იქ მცხოვრები ყველა სულიერი სიკვდილს გადაარჩინა.



თავსატესი

იპოვა

30

სამკუთხედი



# სინეგრა-ლაინერები მოეზაურით მოყვანილები

ზაფხულის არღადეგები დაიწყო და ბევრი ოქვენგანი ალპათ პირველად დალაშქრავს ჩვენი ქვეყნის მთასა და ბარს. გთავაზობთ რამდენიმე რჩევას. იმედია, გამოგადგებათ...


პირველი და მნიშვნელოვანი პირობა: ლაშქრობაში მხოლოდ აუცილებელი ნივთები წაიღე. გახსოვდეს, ნებისმიერი უსარგებლო ნივთის ზურგჩანთით ტარება ზედმეტ თავსატეხს გაგიჩენს.



ლაშქრობაში წასვლა გეგმისა და რუკის გარეშე თითქმის წარმოუდგენელია. შეეცადე, აღიჭურვო სათანადო რუკებითა და უფრო თანამედროვე JPS სისტემებით. ასე უფრო ადვილად მიაღწევ მიზანს.



დანიშნულების ადგილამდერომ მიაღწიო, ამისთვის ავტობუსი ან მინიბუსი გამოგადგება, თუმცა ამ ტიპის ტრანსპორტით ყველგან ვერ მიხვალ...



ისეთ ადგილებში, სადაც ტრანსპორტი იშვიათად დადის, ავტოსტოპის იმედი არ უნდა გქონდეს.




ფეხით კი ყველგან მიხვალ, თუმცა ქუჩაში მოძრაობის წესებს აქაც ისევე უნდა დაემორჩილო, როგორც ქალაქში.



ლაშქრობაში ჯგუფის ხელმძღვანელს  
ბრძად უნდა ენდო.



კარვის გაშლის შემდეგ მოიტოვე დრო გემრიელი  
კერძის მოსამზადებლად...  
წამოსვლის წინ კი აუცილებლად ჩააქრე ცეცხლი და  
საგულდაგულოდ დაასუფთავე იქაურობა.



ყოველთვის ეცადე, ბანაკი უსაფრ-  
თხო ადგილას მოანწყ...



მთამსვლელობა საუკეთესო სპორტია,  
თუმცა, შენს ასაკში ცოტა საშიშიც...



შესაძლოა, ღამის გათევა საღმე სოფლად მო-  
გინიოს. ნუ მოითხოვ განსაკუთრებულ კომ-  
ფორტს და დაკმაყოფილდი იმ პირობებით,  
რომელსაც შემოგთავაზებენ.



## ბუნებრი იმუხო



მინდა უველამ იცოდეს,  
რა ბიჭია ბაჩანა,  
კოლო-ბუჟი ითანხმი  
რომ არ გააჭაჭანა.  
ღილიდან საღამომდი  
ისმის მისი კროჭინი.  
უკვე დარბის, დანახვაც  
აღარ უნდა ჭოჭინის.  
იძახის: „გენაცვალე  
ჩემს ბაბუა ავთოსო,  
საასალწლოდ მიუიდის  
ასალთახალ ავტოსო.

ნაძვისხესაც დაგვიდგამს  
მე და ჩემს დას, ანანოს,  
გავიზრდებით ისეთი,  
მტრებს გაჩენა ვანანოთ!“  
გავიგონებთ სულ მალე  
მის სიძლერას, მოძახილს –  
სისარულიმების  
ფას ეწევა ოჯახი.



ზაალ ეპანოიძე

## იანო და ფილინია

- იანო, გოგო, იანო,
- რო გიხმობთ, რატომ გვიანობ?!
- თათი ჩაშვიდა კალთაში  
ოხერმა ფისუნიამო.



მხატვარი  
ნიკა კორაიძე

## თავსატენი

ამ სურათზე ერთი ბიჭი დანარჩენ ორზე ღონიერია.  
ამასთან, ნიკა გიორგიზე სუსტია, რატის კი ნიკაზე  
მეტი ძალა არ აქვს.

კითხვა: რა ჰქვია წითურ ბიჭს?



# კუსურას ციცელის გარემონა

ირმა მაღაფიძე



ერთ მინდორში კუსები ცხოვრობდნენ. ოჯახის უფროსი, ბატონი კუკური, ყველაზე პატივცემული და დარბაისელი კუ გახლდათ მთელს მინდორსა და მის შემოგარენში. ქმარზე არანაკლებ დინჯი და დაკვირვებული იყო ქალბატონი ნელიც – ბატონი კუკურის მეუღლე და ოჯახის დიასახლისი. ორივე ისე ნელა, ტაატით გადაადგილდებოდა, ისეთი ბრძნული გამომეტყველებდა ჰქონდათ, რომ არ შეიძლებოდა, მათ მიმართ უდიდესი პატივისცემით არ განმსჭვალულიყოთ. ბავშვებო, ალბათ გაგიგონიათ: დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო, მაგრამ ამ შემთხვევაში ყველაფერი სხვაგვარად იყო.

როცა მშობლებს პატარა კუ შეეძინათ, ძალიან გაიხარეს. დიდხანს იფიქრეს, რა დავარქვათო, ბევრი სახელი მოიფიქრეს და ისევ გადაიფიქრეს. ბოლოს გადაწყვიტეს – მოდი, კუსი დავარქვათ, მოფერებით კი კუსუნა დავუძახოთო. ყველას მოეწონა სახელი. ნამდვილად პატარა კუს რომ შეეფერება, ისეთიაო – თქვეს ნათესავებმა. ასე შეემატა ოჯახს ახალი წევრი, კუსუნა, რომელიც, წესითა და რიგით, მშობლებივით დინჯი და აუჩქარებელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ დახეთ საოცრებას – კუსუნა ისეთი ონავარი და ცელქი კუ გაიზარდა, ყველა განცვიფრებაში მოჰყავდა.

– ეს რას მოვესწარიო, – ამბობდა დარცხვენილი მამა. დედაც ძალიან განიცდიდა შვილის ასეთ უცნაურობას.

– კვიცი გვარზე ხტისო, – ამშვიდებდა მოხუცი კუ, კუსუნას დიდი ბაბუა.

– რაღა გვარზე... აბა, რომელს ჰყავს? მე ყველაზე დინჯი და დარბაისელი კუს სახელი მაქვს გავარდნილი. ეს ვის დაემსგავსა, არ ვიცი, – დარდობდა ბატონი კუკური.

– ნუ ნაღვლობ. ნახავ, როგორ დაღვინდება, – ამშვიდებდა მოხუცი კუ.

ერთ მშვენიერ დღეს კი კუსუნამ ისეთი რამ განუცხადა მშობლებს, ქალბატონ ნელის ლამის გული წაუვიდა. ძლივს მოასულიერეს მეზობლებმა. იცით, რა თქვა პატარა კუსუნამ?

– დედა, მამა, გადავწყვიტე, ბაკანი მოვიშორო და აქედან გამოვდვრე. ძალიან მძიმეა და მოძრაობაში მიშლის ხელს. და საერთოდ, თავისუფლება მწყურია... ბაკანი კი ძალიან მზღვდავს. აი, ნახავთ, მის გარეშე ქარივით მსუბუქი ვიქნები, კურდღელიც კი ვერ დამენევაო.

თქვადაშეასრულა კიდეც – ბაკანი მიატოვა, გარეთ გამოძვრა და მშობლებს განუცხადა:

– სამოგზაუროდ მივდივარ. ქვეყნიერება უნდა დავათვალიერო, ახალი მეგობრები გავიჩინო. აბა, ასე ხომ არ ვიჩოჩებ მთელი ცხოვრებაო.



საშინლად შეწუხდნენ მშობლები. აქეთ ბატონი კუკური ეხვენა:

– შვილო, ვინ გაიგონა, კუს ბაკანი არ ჰქონდეს, ყველა მასხარად აგიგდებს. მარტო მაგას ვინ ჩივის, ბაკანი ყველა ფათერაკისგან დაგიცავს, ასე კი თავს დაიღუპავო.

იქით დედა ცდილობდა შვილის გონს მოყვანას:

– დაგვიჯერე, ჩემო პატარა, თავს დაიღუპავ, არსად წახვიდეო.

მაგრამ კუსუნა გაჯიუტდა. ქვა ააგდო და თავი შეუშვირა.

– ვერავინ გადამაფიქრებინებს, რადგან ასე მინდა, ესე იგი, ასეც მოვიქცევი!

ადგა და შემსუბუქებულმა გზა სწრაფი ნაბიჯით განაგრძო. დადარდიანებულმა მშობლებმა კუსუნას ბაკანი ზურგზე წამოიკიდეს და შვილს გაჰყვნენ. მაგრამ კუსუნა ისე სწრაფად მიდიოდა, აბა, რას დაეწეოდნენ. მშობლები იმედს მაინც არ კარგავდნენ და კვალდაკვალ მისდევდნენ.

\* \* \*

მიდის კუსუნა, მიდის, მიღიღინებს. ძალიან ბედნიერია, რომ მძიმე ტვირთი მოიშორა. უცებ მაყვლის ბუჩქი დაინახა. შავი, მწიფე ნაყოფი ისე მაცდურად იცქირებოდა, ძალიან მოუნდა პირის ჩაგემრიელება, მაგრამ ვერ შესწვდა. დადგა და ქვემოდან დაუწყო ყურება. მაყვლის ბუჩქმა ტოტები შეარხია და ცბიერად გაუღიმა:

– პატარა კუსუნავ, გინდა, ჩემი ნაყოფი იგემო? მოდი, ტოტებს ჩამოგინევ და, რამდენიც გინდა მიირთვი.

გაიხარა კუსუნამ. ბუჩქს მიუახლოვდა. მაყვლის ბუჩქმა ტოტები დასწია და ეკლებით ჩააფრინდა კუსუნას. საბრალო ერთიანად დაიკანირა და სისხლი წამოუვიდა. ძალიან ეტკინა და ტირილი დაიწყო.

– ნეტავ, ახლა დედა აქ იყოს, ჭრილობას შემიხვევდაო, – გაიფიქრა. მაყვლის ბუჩქზე კი ძალიან განაწყენდა, ასე როგორ მომატყუაო.

ადგა და გზა განაგრძო. მიდის დაღვრემილი, მიდის და უცებ ჭექა-ქუხილი დაიწყო. ცა საავდროდ მოიქუთრა და, ისეთი სეტყვა დაუშინა, სულ კაკლისოდენა მარცვლები ცვიოდა. რამდენიმე კუსუნასაც მოხვდა და თავზე კოპებიც დააჯდა. ძლივს შეასწრო ხის ძირას, თორემ, ალბათ, თავიც გაუტყყდებოდა.

– ესლა მაკლდა, – ჩაიბურტყუნა კუსუნამ. ჯერ ჭრილობებიც არ მოშუშებოდა და ახლა თავის ტკივილიც ზედ დაერთო. სეტყვამ რომ გადაიღო და მზემ გამოიხედა, კუსუნა სამალავიდან გამოძვრა და გზა განაგრძო. პატარა გუბურას მიადგა. ნაპირზე ბაყაყები მზეს ეფიცხებოდნენ.

– გამარჯობა, მეგობრებო! – მიესალმა კუსუნა.

– მეგობარო? ვინ არის შენი მეგობარი? – სიცილი დააყარეს ბაყაყებმა.

– ეს რა უცნაური ჯიშის ხვლიკია... – დაიყიყინა ერთმა.



– ხვლიკი? როგორ გეკადრებათ. მე ყველაზე სწრაფი კუ ვარ მსოფლიოში, – ამაყად ნარმოთქვა კუსუნამ.

– კუ? რა სასაცილოა, ეტყობა, სარკეში არასოდეს ჩაუხედავს, – აყიყინდა მეორე.

– ალბათ, არ იცის, კუ როგორ გამოიყურება. მოდი, გუბურაში მაინც ჩაიხედე, – დაცინვით თქვა მესამემ.

კუსუნა მართლაც მივიდა გუბურასთან და წყალში ჩაიხედა. იქიდან უცნაური ფორმის ცხოველმაშემოხედა. კუსუნაშეშინებულიმოშორდა გუბურას. ბაყაყებმა სიცილი დაყარეს, რაც ძალიან ეწყინა პატარა კუს და გულდათუთქულმა განაგრძო გზა.

ტირის, ტირის, ცრემლებად იღვრება. უკვე ბნელდებოდა და ღამის გასათევად ერთი ბუჩქის ქვეშ შეძვრა. მთვარე ამოვიდა და იქაურობა გაანათა. კუსუნა ბუჩქის ძირას მიყუჟულიყო და სიცივისგან ერთიანად კანკალებდა. მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს. ისე შესცივდა, რომ, ალარ იცოდა, რა ეღონა. ერთი სული ჰქონდა, როდის ინათებდა.

როგორც იქნა, გათენდა, მზე ამოვიდა და კუსუნაც ცოტა გათბა. მზე ზენიტისკენ იწევდა და სულ უფრო და უფრო აცხუნებდა. გაყინულ კუსუნას ჯერ კი ესიამოვნა მზის ცხელი სხივები, მაგრამ მერე ისე ჩამოცხა, რომ სუნთქვა შეუძლებელი გახდა. მთელი ტანი აენვა. არადა, არც ბუჩქი იდგა არსად, არც ხე, რომ ჩრდილისთვის თავი შეეფარებინა. ისევ ატირდა კუსუნა:

– რა ძალა მადგა, რა კარგად ვიყავი ჩემს ბაკანში, თბილად და მყუდროდ, არც სიცხე მანუხებდა, არც სიცივე, არც ეკალი მკაწრავდა და არც არავინ დამცინოდა. ვყოფილიყავი და მეცხოვრა ჩემს მშობლებთან ერთად.

ტიროდა გულამოსკვნილი კუსუნა. უცებ რაღაც ხმა მოესმა. თავი ასწია და სიხარულისგან თვალებს არ დაუჯერა – დედა და მამა დაინახა, რომლებსაც მისი ბაკანი ზურგზე მოეკიდათ და შვილისკენ მოცოცავდნენ. კუსუნა გაექანა და მშობლებს ჩაეხუტა.

– რა კარგია, რომ მოხვედით. რა მეშველებოდა უთქვენოდ. რა სულელი ვიყავი, რომ არ გიჯერებდით. ჩემი ბაკანი, ჩემი საყვარელი ბაკანი... როგორ გამიჭირდა მის გარეშე, – ცრემლად იღვრებოდა კუსუნა. ტიროდნენ ბატონი კუკური და ქალბატონი ნელიც.

კუსუნა ბაკანში შეძვრა – ძალიან ბედნიერად გრძნობდა თავს. მშობლებმაც გაიხარეს, რომ მათი შვილი, როგორც იქნა, გონს მოეგო.

მერე სამივე ერთად დაბრუნდა შინ. იმის შემდეგ კუსუნას ბაკნიდან გამოძრომა ალარასოდეს მოუნდომებია. ცხოვრობდა მასში და ყველა დანარჩენი კუსავით ნელა დაცოცავდა, სამაგიეროდ, თავს ისე უსაფრთხოდ გრძნობდა, როგორც საკუთარ ციხესიმაგრეში.

მხატვარი  
როგორ შელეგია



## ყაყაჩოთა ოლი

მოსდებია გელ-მინდვრებს  
ეაქაჩოთა ალი.  
აუგავებულ ბუნებაშ  
დაატევევა თვალი.  
შვავის ჩემი საქართველო,  
სილამაზის ღერა.  
ბულბულები უბალობენ,  
გარდებზე რომ სხედან.



## ელგუჯა ლეპანიძე

### წებომა. ნინილა. მურია ლა მარიამი

გამოქეტა ღრუბელი,  
დაიქუჩა და იწვიმა,  
სულ გაილუმა წიწილა,  
გადარეულმა იწივლა.  
მოვიდა ჭრელი მურია  
და კუდი ააქიცინა.  
ეს რომ მაიგომ ისილა,  
დაჯდა და ბეჭრი იცინა.  
მერე მზემ გამოაჭეიტა,  
სხივები ააციმციმა,  
კრუხმა ფრთა შეითამაშა  
და შეიფარა წიწილა.



## ავთადილ მეგრელიშვილი

### ლოუცუნა ლა მუწამი

ღრუტუნაშ უთხრა მუეფარას:  
– თუ მდა ხარ, ხელს ნუ შემიშლი.  
ბოსტანში გოგრა შევნიშნე,  
უნდა შევსანსლო, შემიშვი!

მუეფარაშ ასე მიუგო:  
– ეგ მეორედ არ ინებო,  
თორემ ისეთ დღეს დაგაერი,  
გუდით ქვას გასროლინებო!



მარიამ გეგიაშვილი, 10 ნლის,  
65-ე სკოლის მოსწავლე

# მარიამ გეგიაშვილი

ვუძღვნი ჩემი მეგობრის,  
მარიამ სომხიშვილის ხსოვნას

იყო ერთი ლამაზი პატარა პეპელა, სახელად მარიპელა. ამქვეყნად მასზე ლამაზი პეპელა არ არსებობდა. ცხრა ფერი ჰქონდა: მწვანე, ცისფერი, წითელი, იისფერი, ვარდისფერი, ოქროსფერი, თეთრი, ყვითელი და ყავისფერი.

მარიპელა სხვებისგან იმითაც გამოირჩეოდა, რომ ზღვისფერი თვალები ჰქონდა. ცაში ნავარდი უყვარდა და მაღლა ასული დიდხანს იკარგებოდა. არავინ იცოდა, სად უჩინარდებოდა. ციდან ჩამოფრენილი კიდევ უფრო ლამაზი ჩანდა. ცხრაფერა პეპელა მუდამ იმაზე ოცნებობდა, რომ და ჰქონდა. ძალიან უყვარდა პატარა პეპლები – თუ სადმე დაინახავდა, აუცილებლად მიეფერებოდა. მეგობარი ბევრი ჰყავდა, თუმცა ყველაზე მეტად სოფიასთან მეგობრობდა. სოფიას უთვალავი ფერი ჰქონდა, მარიპელას კი ცხრა.

ერთ დღეს მისმა მეგობრებმა გაიგეს, რომ გამოცხადდა ლიმილის კონკურსი, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ პეპლები, ბზიკები, კალიები, კოლოები, ფუტკრები, ხოჭოები და სხვა მწერები. მინდა გითხრათ, რომ მარიპელა სულ იღიმოდა. ამიტომაც მისმა მეგობრებმა გადაწყვიტეს, პეპლების სახელით მარიპელა გამოსულიყო. კონკურსი დაიწყო. სცენაზე მონაწილეები სათითაოდ გამოდიოდნენ, მაგრამ როცა მარიპელა გამოჩნდა, უიური ფეხზე წამოდგა. გამარჯვებულადაც ის გამოაცხადეს. იმ დღიდან მარიპელას მოღიმარი პეპელა ეწოდა. აქვე გეტყვით, რომ შავ ხოჭოებს შემურდათ მისი და შურისძიება გადაწყვიტეს.


ერთ დღესაც მისმა ოჯახმა დასასვენებლად მინდორში წასვლა გადაწყვიტა. მარიპელას ძალიან უყვარდა მინდორი, მაგრამ იმ დღეს რატომლაც ფეხს ითრევდა. მშობლებმა მაინც წაიყვანეს. თურმე საძაგელი ხოჭოები იმ მინდორზე ცხოვრობდნენ. როგორც გითხარით, შურისძიება დიდი ხნის წინათ გადაეწყვიტათ, შურით სკდებოდნენ. როგორც კი მარიპელა მარტო დარჩა, თავს დაესხნენ საბრალოს და ომი გაუმართეს. ბოლოს საშინელმა შავმა ხოჭომ გასრისა ღიმილის დედოფალი.

ამ ამბავმა ყველა დაამნუხრა, ცხარე ცრემლით ტიროდნენ. მარიპელა კი ამ დროს ანგელოზებთან იყო. თავიდან გაუჭირდა შეჩვევა, ცდილობდა, იქიდან გამოქცეულიყო, მაგრამ ვერ ახერხებდა. ბოლოს ყველაზე დიდ პეპელასთან მივიდა და სთხოვა, დახმარებოდა: ძალიან უნდოდა, მის მშობლებს გაეგოთ, რომ ანგელოზების ქვეყანას შეეჩვია და კარგად იყო. დიდმა პეპელამ მოახერხა და მარიპელას მშობლებს გადასცა მისი დანაბარები, ისიც უხსრა, მარიპელამ იცის, პატარა და რომ ჰყავს და ძალიან უხარიაო. მოღიმარმა პეპელამაც შეიტყო, რომ მშობლებმა გაიგეს მისი ამბავი და ამის მერე მშვიდად გააგრძელა ცხოვრება ანგელოზების სამეფოში.

მხატვარი  
გალეაზ კუსაშვილი



# ჩიტო, ჩიტო, ღამის ჩიტო, ჩიტო, ჩიტო, ჩიტო!



14 უკინელ ღილის შედეგიდ  
დაძლევის დღეს ულოცვე სოფი!

გადო, ხელი გადო

ვალი ჩეიკვაპე

შენ გაიზრდითი,  
შევარწყოთ, მაგარი ზორებით,  
ფრთის დაუგრძელებ რას და მერე  
დაუგრძელებ გარდა.  
„ჩე-მი სა-შობ-ლო,  
სა-ქო-თებ-ლო!“  
დამარცხებულ თაოთა,  
და მხრითი შენ დამმიდებუ  
ლებს ჭერითა.



# სექტემბრის კინო, კინო...

რავით რა  
თემა  
ესხაზედები



მარიამ მატრეველი



## ფსიქოლოგი გვირჩვს

### მოთხოვნ(ილებ)ები აღზრდისას

იყო მშობელი – ყველაზე დიდი ჯილდო და ყველაზე რთული გამოცდილებაა. მიუხედავად იმისა, რამდენი წლისაა თქვენი შვილი, თქვენ

მაინც მუდმივად გაქვთ საზრუნავი. ზრდით თუ არა შვილს სწორად, ამის მთავარი კრიტერიუმი: აწმყოში ბავშვის კმაყოფილება და მომავალში მისი კეთილდღეობაა. მაგრამ მომავალს რომ ველოდოთ, შემდეგ შეცდომებს ვერ გამოვასწორებთ. კარგი მშობელი აღზრდის შედეგს არ ელოდება – მთელი მისი ყურადღება და ძალისხმევა აღზრდის პროცესზეა მიმართული.


ბავშვის ფიზიკური ჯანმრთელობისთვის, ფსიქიკური განვითარებისა და ბედნიერებისთვის ორი მნიშვნელოვანი პუნქტის ოსტატურად შეთანხმებაა საჭირო: ბავშვის მოთხოვნილებებისა და თქვენი მოთხოვნების. სამწუხაროდ, ეს ხშირად წარმოუდგენლად ესახებათ მშობლებს. მაგალითად, ბავშვს მუდმივად თამაში უნდა, თქვენ კი იცით, რომ მან უნდა ისწავლოს – ასწავლეთ თამაშით და პრობლემა მოგვარდება. თუ თქვენს პატარას ტკბილეული უყვარს, თქვენ კი იცით, რომ მას ხილი და ბოსტნეული სჭირდება, შეთანხმდით, რომ ის მიიღებს ტკბილეულს, თუ შეჭამს ხილსა და ბოსტნეულს. ასეთი კომპრომისის მოძებნა ნებისმიერ სიტუაციაშია შესაძლებელი, ამისთვის, ჩვეულებრივ, ცოტა კრეატიულობა და ქვემოთ მოცემული მეთოდების გათვალისწინებაც საკმარისია.

**ბავშვის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად:** უპირობოდ გიყვარდეთ შვილი. ბევრ მშობელს გააკვირვებს ასეთი რჩევა, ბევრს ფუჭადაც მოეჩვენება, რადგან ყველა მშობელს უყვარს შვილი, როგორიც უნდა იყოს ის. სამწუხაროდ, თქვენი ქცევები ხშირად ბავშვს საწინააღმდეგოს ეუბნება. გიყ-

ვარდეთ უპირობოდ, ნიშნავს, რომ ბავშვს ეს აგრძნობინოთ. ბავშვმა უნდა იცოდეს, რომ თქვენ გიყვართ ის, მიუხედავად იმისა, იცელება თუ კარგად მოიქცა, დააშავა რამე თუ დაგეხმარათ საქმის გაკეთებაში. ბავშვი რომ დაარწმუნოთ საკუთარ სიყვარულში, სულაც არ არის საჭირო ყველა მისი სურვილისა და მოთხოვნის შესრულება. შეგიძლიათ, უბრალოდ, დაიცვათ შემდეგი წესები:

1. გაუღიმეთ, წაახალისეთ სირთულეების დაძლევისას;
2. არა აქვს მნიშვნელობა, როგორ გაგაბრაზათ დღის დასაწყისში, ჩაისვით საღამოს კალთაში, ჩაეხუტეთ და აგრძნობინეთ, რომ ძალიან გიყვართ.
3. ნებისმიერი შესაძლებლობისას აკოცეთ, ჩაეხუტეთ, ეთამაშეთ.
4. თუ რამეს დააშავებს, უთხარით, რომ, მიუხედავად თქვენი მისდამი სიყვარულისა, არ მოგეწონათ მისი საქციელი. არასდროს არ უთხრათ: „ცუდი ბიჭი ხარ“, „ცუდი გოგო ხარ“. ბავშვი ითიქრებს, რომ თქვენ ის მხოლოდ მაშინ გიყვართ, როცა კარგად იქცევა.
5. ბავშვმა თუ თავისი საქციელით გაგახარათ, არ უთხრათ: „კარგი ხარ“, „ჭკვიანი ხარ“, უთხარით: „ძალიან კარგად გამოგივიდა“, „ყოჩალად გააკეთე“.
6. შეეცადეთ, შენიშნოთ ბავშვის ყოველი წარმატება, ყოველი მოსაწონი ქცევა. წაახალისეთ, შეაქეთ და დააჯილდოვეთ ის.
7. დააკვირდით, თქვენ მიერ ბავშვის დაჯილდოების, წახალისებისა და შექების ფაქტები 3-ჯერ მაინც უნდა აღემატებოდეს დასჯის შემთხვევებს. თუ ამ პირობას ვერ ასრულებთ, ჯობს, გადახედოთ, სად უშვებთ შეცდომას.
8. არ გამოკვეთოთ ფავორიტები. ნუ შეადარებთ მას სხვა ბავშვებს, და-ძმა-

- საც კი. დიახ, შეიძლება ამ მიღებომამ გაამართლოს და დღეს მან ისევე კარგად იმეცადინოს, როგორც ამას მისი ათოსანი თანაკლასელი აკეთებს, მაგრამ ხვალ იგივე მეთოდი აღარ გაჭრის, ხოლო შფოთვა თქვენს შვილს მთელი ცხოვრება გაჰყვება.
9. გამოყავით დრო ბავშვისთვის. ამ დროს თქვენ არც მზარეული ხართ, რომელიც გემრიელ საჭმელს აკეთებს; არც თოვლის პაპა, რომელსაც საჩუქარი მოაქვს; თქვენ, უბრალოდ, ბავშვის მეგობარი ხართ, რომელიც მასთან შეთანხმებულად თამაშობს, გულწრფელად ესაუბრება და დიდაქტიკური რჩევა-დარიგებების გარეშე უსმენს მას.
  10. ნუ ელით ბავშვისგან, რომ ის შეძლებს რთული მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დამყარებას და იმის გაგებასა და მიღებას, რატომ არ დაესწარით მისთვის მნიშვნელოვან ბალის ზეიმს ან საფეხბურთო მატჩს. ბავშვისთვის არ არსებობს მიზეზი, რომელიც თქვენს ქცევას გაამართლებს, გარდა ერთისა – თქვენ ის არასაკმარისად გიყვართ.
- თქვენი მოთხოვნების შესასრულებლად: შექმენით დისციპლინირებული გარემო. ამ მიზნის მისაღწევად გაითვალისწინეთ შემდეგი:**
1. განსაზღვრეთ პრიორიტეტები და ჩამოაყალიბეთ ქცევის წესები;
  2. წესები უნდა იყოს გონივრული – ბავშვს არ უნდა მოთხოვოთ ის, რაც მის შესაძლებლობებს აღემატება;
  3. წესები უნდა იყო მკაფიო – მოკლე და მარტივი, რათა ბავშვმა შეძლოს მისი გაგება.
  4. წესი უნდა იყოს პოზიტიურად ფორმულირებული: უნდა ეუბნებოდეს ბავშვს, რა გააკეთოს. არასწორად ფორმულირებული წესია: „არ გააფუჭო სათამაშოები“. სწორად ფორმულირებული წესია: „გაუფრთხილდი სათამაშოებს.“
  5. წესები აუცილებლად გააცანით ბავშვს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის
6. ყურადღება გაამახვილეთ წესების შესრულებისას წახალისებაზე და არა დასჯაზე მათი დარღვევისას.
  7. იყავით თანმიმდევრული – არ დაუშვათ გამონაკლისები. თუ ერთხელ მაინც უარი თქვით წესების შესრულებაზე, მათ შესასრულებლად მეორე დღეს გაცილებით მეტი ძალისხმევა დაგჭირდებათ.
  8. იმოქმედეთ შეთანხმებულად – თუ ბავშვს ერთი უფროსი საყვედურს ეუბნება, მეორე უფროსი კი ამ დროს აწყნარებს, მაშინ არასასურველი ქცევა აუცილებლად განმეორდება.
  9. თუ ზედმეტად უყვირეთ ბავშვს ან არასამართლიანად დასაჯეთ, აუცილებლად მოიხადეთ ბოდიში. ეს საუკეთესო მაგალითი იქნება მისთვის. ისნავლის შეცდომებთან შეგუებას, შეცდომების აღიარებასა და ბოდიშის მოხდას.
  10. იყავით ბავშვისთვის მისაბაძი მაგალითი. ბავშვისთვის დასწავლის საუკეთესო გზა მიბაძვაა, მისთვის კი ყველაზე მისაბაძი ადამიანი თქვენ ხართ. თუ თქვენ სამსახურიდან მიდიხართ და ფეხსაცმელს უწესრიგოდ ყრით, არ გაგიკვირდეთ, რომ თქვენი პატარაც უარს იტყვის სათამაშოების დალაგებაზე. თუ თქვენ მას უყვირით, ისიც უხეშად დაგელაპარაკებათ.
- დაბოლოს, გახსოვდეთ: საუკეთესო მრჩეველი და ამ რჩევების საუკეთესო შემსრულებელი თქვენ ხართ, რადგან არავინ იცნობს თქვენს შვილს თქვენზე უკეთ და ვერავინ შეძლებს თქვენ მაგივრად მის აღზრდას.**





როგორც ხდება ხოლმე, იყო და არა იყო რა, იყო ერთი გლეხკაცი. ორი უღელი ხარი ჰყავდა, ცოტა ცხვარი და მცირე მეურნეობაც ჰქონდა. ერთხელ მის ეზოში ქურდები გადაძვრნენ, იფიქრეს, იფიქრეს, რა წარელოთ და გადაწყვიტეს, ხარები წაეყვანათ. ეზოდან ორი ხარი წასხეს. გზად პატრონი შეეჩებათ, განრისხდა, მაგრამ ვერაფერი გააწყო.

– გაიქცი და ხარები მოაბრუნე, – უყვირა მწემს. მწყემსი გაიქცა და უკან აღარ დაბრუნდა.

– წადი და ხარები უკან დააბრუნე, – უბრძანა პატრონმა მოსამსახურეს.

მოსამსახურეც გაიქცა და არც ის დაბრუნდა.

ამ დროს ამინდი შეიცვალა. განთიადამდე ადამიანებზე, მიწაზე და ცხოველებზე ქარი ტრამონტანა ბატონობდა, გლეხებს სულ ფეხებს უბაკუნებდა. ტრამონტანამ გლეხს ხელი სტაცა, დაატრიალა და გაიტაცა. გზაზე მწყემსს, მოსამსახურეს, ქურდებს და ორ ხარს შეხვდა და გადაწყვიტა, ისინიც თან წაეყვანა. შვიდივე მაღლა ცაში აიტაცა და ვარსკვლავებად აქცია.

ასე დარჩნენ ისინი ცაზე. ახლა შვიდივე ვარსკვლავი თანმიმდევრობით ერთმანეთს მიჰყვება: გლეხკაცი – მწყემსი, მწყემსს – მოსამსახურე, მოსამსახურეს – ორი ქურდი და ორი ხარი. ეს ღამეული ცის მთავარი ვარსკვლავებია. მათ დიდ დათვს ეძახიან, მაგრამ ეს სახელი ალბათ სხვა ქვეყანაში დაარქვეს, რადგან ბასკეთში ცაში დათვი არავის უნახავს.


**დიდი დათვის თანავარსკვლავედი** (ლათ. *Mors Major*) ცის ჩრდილოეთ წახევარსფეროს თანავარსკვლავედია. ის შედგება შვიდი ვარსკვლავისგან, რომელთა კონფიგურაცია ჩამჩია წააგავს. ჩამჩის ორი კიდური ვარსკვლავის მიხედვით შეიძლება ვიპოვოთ პოლარული ვარსკვლავი. დიდი დათვი ყველაზე კარგად მოჩანს მარტისა და აპრილის თვეებში.

**ტრამონტანა** ჩრდილოეთისა და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის ცივი ქარია, რომელიც ქრის იტალიაში, ესპანეთში, საფრანგეთში, საბერძნეთში, ხორვატია-სა და სლოვენიაში. ის ძლიერი და მძაფრი ქარის – ბორას წარსახეობაა. ფრანგული წყაროების მიხედვით, ეს სახელწოდება პირველად მარკო პოლომ იხმარა 1298 წელს.



# ურთობრივი

ამ კროსვორდს მხოლოდ ის  
შეავსებს, ვინც უურნალის ყველა  
გვერდს ყურადღებით წაიკითხავს.



- რა უნდა გაშალო ლამის გასათევად ლაშქრობაში?
- რა ერქვა კუსას მოფერებით?
- რა დაუგო კაცმა ლაბუას?
- ცხოველი, რომლის სახელიც ჰქვია ერთ-ერთ თანავარსკვლავედს;
- რამდენი ფერი ჰქონდა მარიპელას?
- რა ერქვა კუსუნას მამას?
- ვინ გაილუმპა წვიმაში?
- რა ჰქვია ბასკურ მითოლოგიაში ქარს?
- ვინ გაება ჩიტბადეში?
- რამდენი ვარსკვლავია დიდი დათვის თანავარსკვლავედში?
- რა ერქვა ლაბუას მეგობარ ჩიტს?
- გაიხსენე კუკურის ცოლის სახელი;
- ვინ იგვიანებს? ....
- ვინ იყო მარიპელას ყველაზე ახლო მეგობარი?

## ტამარების კარისტა

ნათია ჯანაშია

\*\*\*

ყვავი რამ გაახარა?  
გამოჩეკა? – .....

\*\*\*

ჯიუტი თუა? – ძალიან!  
შუბლს რა უმშვენებს? – ქოჩორი!  
მშობლები რა ყავს? – ვირები!  
თავად რა ჰქვია? – .....

\*\*\*

ცხენის შვილი რომ არის,  
გვარზე რომ ხტის, ვიცი,  
სახელს ვეღარ ვიხსენებ.  
შემახსენეთ! – .....

\*\*\*

უხარია, თაფლით რომ  
ჩაუტკება ყელი,  
მშობლები ჰყავს დათვები,  
თავად ჰქვია? – .....


# ერლოცაზო!

სალომე მაისაშვილი

ლუკა გორგაძევილი

ნუცა  
გარნაბიძევილი

ია  
ღვინიაშვილი



გიორგი  
გორგაძევილი

კონსტანტინე  
თხელიძე



მთავარი რედაქტორი: დოდო ნიკოლაძე  
ნახატი ყდაზე: გია ლაფაურის

მის.: ზანდუკელის ქ. 1, ტელ.: 2 93 69 77

<http://www.dila.ge>, ელ-ფოსტა: dila1904@yahoo.com, facebook: საბავშვო გამომცემლობა დილა  
ფასი: 2 ლარი

